აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№121 (25.001) შაბათი, 5 - 7 ნოემბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, დასავლეთის მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 13-18, მთაში - 3-8 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 18 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გაიმართა, სადაც გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების გარემოს მნიშვნელოვანი ტენდენციები, საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები, ასევე ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების განახლების პროცესი განიხილეს. სხდომის მონაწილეებმა კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვის სფეროში რეფორმის მიმდინარეობასა და კონცეპტუალური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნის პროცესზეც იმსჯელეს. მათ შორის, ყურადღება გამახვილდა კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების სექტორული ნუსხების შედგენის პროცესზე.

* * *

საქართველოს დიპლომატიის ისტორია პრაქტიკულად საქართველოს ისტორიაა, - განაცხადა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გუშინ, ქართული დიპლომატიის დღესთან დაკავშირებით. „ეს დღე ნამდვილად ეკუთვნის ყველას, ვინც საქართველოს ინტერესების დაცვაში შეიტანა საკუთარი წვლილი. ეს ეხება, ქართველ მეფეებს და მათ ემისრებს, თავადებსა, თუ რელიგიურ პირებს, რაც იმდროინდელი ისტორიისთვის ჩვეული მოვლენა იყო. მათ დიპლომატიით და შორსმჭვრეტელობით, ხშირ შემთხვევაში, გადაარჩინეს საქართველო მეზობელი იმპერიების შემოსევების ჟამს და შექმნეს საქართველო“, - აღნიშნა ზურაბიშვილმა. მან თარიღი მიულოცა უცხოეთში მყოფ ქართველ დიპლომატებს და აღნიშნა, რომ მათი წვლილი საქართველოს ინტერესების დაცვაში ძალიან მნიშვნელოვანია.

* * *

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად თამაზ ბესტაევი დაინიშნა. მან აღნიშნულ პოზიციაზე დიმიტრი სანაკოევი შეცვალა, რომელმაც თანამდებობა ცოტა ხნის წინ დატოვა. ბესტაევი, ბოლო 15 წლის განმავლობაში, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურს ხელმძღვანელობდა. პრემიერ-მინისტრმა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ახალ ხელმძღვანელს მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა და მხარდაჭერა აღუთქვა.

* * *

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა სახალხო დამცველობის კანდიდატებთან გასაუბრების პროცესი დაასრულა. როგორც კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძემ აღნიშნა, კანდიდატებთან დაკავშირებით შეფასებები და დასკვნის პროექტი, სავარაუდოდ, ორშაბათს გახდება ცნობილი, რის შემდეგაც, ყველა კანდიდატს კენჭი პლენარულ სხდომაზე ეყრება.

მოამზადა
ია შველიძემ

სახელოვან მეცნიერს სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს

მანანა ჟიჟიშვილი 598 24 94 97

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორს, ცნობილ ენათმეცნიერს, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომელ შუშანა ფუტკარაძეს დაბადებიდან 80 და სამეცნიერო მოღვაწეობიდან 55 წელი შეუსრულდა.

საიუბილეო თარიღი მას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმო ვითარებაში მიულოცეს, რომელზეც არაერთი სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოსული სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის თურქეთიდან, სადაც მეცნიერი წლების განმავლობაში მუშაობდა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის შესასწავლად. ამ ბიბლიოთეკაში განთავსებულია კათოლიკე ბერების მიერ მოპოვებული 83 ათასი წიგნი საქართველოს შესახებ, რომელიც 17 ენაზეა დაწერილი. მისი შესწავლის შემდეგ გამოქვეყნდა სამი ტომი, მეოთხე კი მზადაა გამოსაცემად. გარდა ამისა, იქ არის 10 ათასი საარქივო მასალა, რომლითაც მეცნიერი საქართველოს ისტორიის ბოლო პერიოდს ავსებს ახალ-ახალი მასალებით.

საიუბილეო ღონისძიებაზე გაიმართა შუშანა ფუტკარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ელიზბარ ციმნარიძის მიერ გადაღებული დოკუმენტური ფილმის ჩვენება.

გუშინვე სახელოვანი ენათმეცნიერი რუსთაველის სახელობის მედლით დაჯილდოვდა. ის რამდენიმე ათეული წელი იკვლევდა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხარეების - აჭარის, ტაო-კლარჯეთის, ფოცხოვ-ჩილდირის, ერუშეთის ისტორიას, ეთნოგრაფიას, ფოლკლორს, ონომასტიკას, ქართულ მეტყველებასა და დიალექტებს, თურქეთში არსებულ ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას. მისი ავტორობით შეიქმნა არაერთი მონოგრაფია.

- ქალბატონი შუშანას დამსახურება ძალიან დიდია სამეცნიერო საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის მიმართ, მისი კვლევები არის ინტერდისციპლინარული როგორც ენათმეცნიერებისთვის, ისტორიკოსებისთვის, ისე ეთნოლოგებისთვის, მან პირველმა გაკვალა გზა ტაო-კლარჯეთში - ნიკო მარის, ექვთიმე თაყაიშვილის, გიორგი ყაზბეგისა და სხვა მოგზაურ მკვლევართა შემდგომ. პირველი იყო, ვინც ისტორიულ საქართველოში ძირძველი, მუჰაჯირი ქართველების ყოფა, ტრადიცია, ეთნოკულტურა და ენათმეცნიერება შეისწავლა, - აღნიშნა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორმა როინ მალაყმაძემ.

გუშინვე ამაგდარ მეცნიერს აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის წინ, იქ, სადაც მან პირველად დაიწყო სამეცნიერო საქმიანობა, სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნეს.

უფრო ვრცლად ამ ღონისძიებების შესახებ გაზეთი „აჭარა“ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

არჩილ ჩიქოვანი ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა

თურქეთში არსებული ქართული დიასპორის წარმომადგენლებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი შეხვდა

მერიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეხვედრაზე არჩილ ჩიქოვანმა ისაუბრა ქართული დიასპორის მნიშვნელობასა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე. დიასპორის წარმომადგენლებს გააცნო ბათუმში მიმდინარე პროექტები, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის განვითარებასა და ინვესტიციების მოზიდვას.

„არჩილ ჩიქოვანის თქმით, დიასპორებთან მჭიდრო კავშირი ხელს შეუწყობს დიასპორაში მნიშვნელოვანი და საინტერესო ინიციატივების განხორციელებას. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის ურთიერთობების წარმატებაში ქართული დიასპორის როლს. აღინიშნა, რომ თურქეთის რესპუბლიკა არის საქართველოს მტკიცე მხარდამჭერი როგორც ორმხრივ, ისე საერთაშორისო ფორმატებში.

დიასპორის წარმომადგენლებმა ბათუმის მერს მიაწოდეს ინფორმაცია მათი საქმიანობისა და მათ მიერ განხორციელებული პროექტების შესახებ. ასევე, ისაუბრეს მათ როლზე ქართული ენისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარების საქმეში.

შეხვედრის დასასრულ არჩილ ჩიქოვანმა მადლობა გადაუხადა მათ მშობლიური ენის, ეროვნული და კულტურული თვითმყოფადობის ხელშეწყობისა და შენარჩუნებისთვის. მხარეებმა გამოთქვეს მჭიდრო თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი“, - აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.

ია შველიძე

ახალი პროგრამა - მეთხილე ფერმერების მხარდასაჭერად

2

კიდევ ერთხელ ჩვენი განათლების სისტემის შესახებ

4

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

უხვი ნალექის გამო ბათუმსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ქუჩები დაიტბორა

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

ბათუმში 4 ნოემბერს მოსულმა უხვმა ნალექმა რამდენიმე ქუჩა დატბორა. მთელი ღამის განმავლობაში „ბათუმის წყალში“ მოქალაქეები დახმარებისთვის რეკავდნენ. როგორც გაზეთ „აჭარას“ უწყებაში განუცხადეს, მობილური ჯგუფების მიერ უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა სანიაღვრე ჭების, ასევე არხების გაწმენდითი და შესაბამისი სალიკვიდაციო სამუშაოები

- მთელი ღამის განმავლობაში მობილიზებული იყო „ბათუმის წყლის“ სპეცტექნიკა და სანიაღვრე ქსელის ჯგუფები. ინტენსიურად მიმდინარეობდა ამოტუმბვითი სამუშაოები. ამასთან, სანიაღვრე წყლების შეუფერხებლად გადინების მიზნით, ზღვაში გამსვლელი არხები ინტენსიურად იწმინდებოდა. 4 ნოემბრის მონაცემებით, დატბორვასთან დაკავშირებით დაფიქსირებულია 10-მდე მისამართი, - განაცხადეს „ბათუმის წყლის“ ადმინისტრაციაში.

ბათუმში მცხოვრები ნათია მამულაძე გაზეთ „აჭარას“ უყვება, რომ დილით ავტომობილით გადაადგილებისას წყლის ნაკადი ავტომობილში შევიდა და მთლიანად დაიტბორა, რის შედეგადაც ავტომობილის დაძვრა ვეღარ შეძლო და დახმარება დასჭირდა. მოქალაქე ამბობს, რომ რამდენიმე დღის წინ მოსულმა უხვმა ნალექმაც დააზარალა.

- ორი ბიჭი მყავს, რომლებიც მე-4 კლასის მოსწავლეები არიან. დილით სპორტზე დამყავს. რადგან ცუდი ამინდი იყო, ვიფიქრე, ავტომობილით წავიყვანდი, თუმცა საშინელ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, გზაზე გადაადგილება შეუძლებელი იყო. ალბათ, ვერც სკოლაში გავუშვებ, თუ ასე გაგრძელდა და ყოველი გაწვიმებისას ქუჩები ამ დონეზე უნდა დაიტბოროს. ბავშვებს ხომ ვერ გავაციებ და მათ ჯანმრთელობას საფრთხეს ვერ შევუქმნი?! ამიტომ დროული რეაგირებაა საჭირო, არ შეიძლება ასე, მთელი შემოდგომა-ზამთარი ეს სურათი უნდა გვქონდეს?! ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოხდეს რეაბილიტაცია და მილებმა ნორმალურად გაატაროს წყალი, - ამბობს ნათია.

ბათუმის მერიის ინფორმაციით, გამოძახებები არ იყო კონკრეტული საცხოვრებელი ადგილებიდან. ათივე მისამართი იყო ქუჩა, განსაკუთრებით დაიტბორა ბაქოსა და ტბეთის ქუჩები, სადაც უხვი ნალექის გამო სანიაღვრე არხები წყლის გადინებას ვერ ასწრებდნენ და ტერიტორიაზე გადაადგილება პრობლემას წარმოადგენდა. ამ და დანარჩენ 8 მისამართზე მალევე მოხდა რეაგირება და დატბორილი ადგილების უხვი ნალექისგან განტვირთვა.

ახალი პროგრამა – მეთხილე ფერმერების მხარდასაჭერად

დარინა გაბაიძე 27 48 93

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თხილის წარმოების ხელშეწყობისთვის, მეთხილე ფერმერების მხარდასაჭერად ახალი პროგრამა იწყება

„თხილის ბაღების მესაკუთრეთა ხელშეწყობის პროგრამის“ შესახებ შეხვედრა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა. პროექტის შესახებ ინფორმაცია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სოფლის განვითარების სააგენტოს, რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ლაშა შალამბერიძემ გააცნო.

პროგრამის ფარგლებში ყველა ფიზიკური პირი, რომელსაც 0,2 -3 ჰექტარამდე თხილის ფართობი აქვს საკუთრებაში ან სარგებლობაში, მიიღებს, 1 ჰექტარზე დაანგარიშებით, 500 ლარის ოდენობით დახმარებას. ქულები აგრობარათზე დაირიცხება. სამი ჰექტარი ან მეტი თხილის ფართობის მქონე ფერმერები კი ისარგებლებენ შედავათიანი აგროკრედიტით საბრუნავი საშუალებებისთვის. სახელმწიფო კრედიტის 8%-ს დააფინანსებს.

პრეზენტაციას აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე უჩა სურმანიძე და საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი თოდუა ესწრებოდნენ.

სახელმწიფოს გიორგი მამალაძისთვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა

სტრასბურგის სასამართლომ გიორგი მამალაძის სარჩელზე ძირითად ნაწილში მისი ბრალეულობის სტატუსი დაადასტურა და იგივე დატოვა. უფრო მეტიც, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ მტკიცებულებები სწორად იყო მოპოვებული და ასევე, ამ მტკიცებულებების მის წინააღმდეგ გამოყენების პროცედურა არ იყო ხარვეზიანი, - ამის შესახებ პროკურატურაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გიორგი მამალაძის საქმეზე - „მამალაძე - საქართველოს წინააღმდეგ“ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით განუცხადეს. უწყების ცნობით, სასამართლომ გიორგი მამალაძის სარჩელზე ორი დარღვევა დაადგინა, რაც საჯარო მოხელეების მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევასა და სასამართლო პროცესის დახურვასთან არის დაკავშირებული.

„შესაბამისად, გიორგი მამალაძის ბრალეულობასთან დაკავშირებით არავითარი კითხვის ნიშნები არ არსებობს. გარდა ამისა, როგორც ევროსასამართლო ასკვნის, კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელი პუნქტი არ დარღვეულა, რაც გულისხმობს გამოძიების პროცესში სამხილების მოპოვებასა და გამოყენებას. რაც შეეხება დარღვევებს, შესაბამისი უწყებები საჭიროების შემთხვევაში სათანადო რეაგირებას მოახდენენ. ამასთან ერთად, მამალაძეს მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარი ეთქვა, ხოლო კომპენსაციის სახით მოთხოვნილი დაახლოებით 800 000 ლარის ნაცვლად სახელმწიფოს 9 000 ლარის გადახდა დააკისრა“, - განაცხადეს პროკურატურაში.

დეკანოზი გიორგი მამალაძე ე.წ. ციანიდის საქმეზეა მსჯავრდებული. იგი 2017 წლის 10 თებერვალს, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს. თბილისის საქალაქო სასამართლომ გიორგი მამალაძე დამნაშავედ 2017 წლის 5 სექტემბერს ცნო და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 2018 წლის 13 თებერვალს თბილისის საapელაციო სასამართლომ დეკანოზ მამალაძის გამამტყუნებელი განაჩენი ძალაში დატოვა. უზენაესმა სასამართლომ საქმე წარმოებაში არ მიიღო.

ია შველიძე

კოკისპირულმა წვიმებმა მეწყრული პროცესები გააააქტიურა

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

აჭარის მთიანეთში ოქტომბერ-ნოემბერში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა მეწყრული პროცესები გააააქტიურა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ წაბლანაში, დანისპარაულში, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემოხევში, ვანში, ჯაბნიძეებში, წაბლანაში (გუდნას ტერიტორია), ტბეთში, ცინარეთში, ქედის მუნიციპალიტეტის მერისის ხეობის, ცხმორისის, მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში

ქვათაცვენა, მიწის მასის ჩამოწოლა გახშირდა ბათუმი-ახალციხის, ზამლეთი-ხიხაძირის, შუახევი-შუბნის, დანდალო-ხარაულას, ქედა-მერისის გზებზე. წვიმებს მაღალ მთებში თოვლი მოჰყვა. გოდერძის უღელტეხილზე გადაადგილება მხოლოდ მაღალი გამავლობის ტრანსპორტითაა შესაძლებელი.

ხულოს, შუახევის, ქედის მუნიციპალიტეტებში ამოქმედდა სტიქიასთან ბრძოლის შტაბები. ოპერატიული ღონისძიებები ტარდება ადიდებული მდინარეებისგან ტერიტორიების დასაცავად და ადამიანთა მსხვერპლის ასაცილებლად.

პირადობის მოწმობას შეღავათიან ფასად აიღებენ...

პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა 50%-იანი შეღავათით გაიცემა მოქალაქეებზე, რომელთაც მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი უვადოდ აქვთ დადგენილი. შშმ პირებზე პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის შეღავათიანი პირობებით გაცემა შესაძლებელი გახდა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №508 დადგენილებაში შესული ცვლილებების საფუძველზე, რომელიც 2022 წლის 1 ნოემბრიდან ამოქმედდა.

„იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სახელმწიფო სერვისების გამარტივება. პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობა საშეღავათო პირობებით გაიცემა მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირზე, თუკი მოქალაქე პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის მიღებისას წარადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის დოკუმენტს. წარდგენილი დოკუმენტით უნდა დასტურდებოდეს, რომ მოწმობის მიღების მომენტში მოქალაქე მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირია და ეს სტატუსი უვადოდ აქვს დადგენილი. ამ შემთხვევაში პირადობის (ბინადრობის) ელექტრონული მოწმობის საფასური 60 ლარის ნაცვლად 30 ლარია“, - აღნიშნავენ იუსტიციის სამინისტროში.



ია შველიძე

უახლოესი დღეების პოლიტიკური სურათის მნიშვნელოვანი შტრიხები

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სურათი ამ კვირაშიც, ისევე, როგორც ყოველთვის, საკმაოდ მრავალფეროვანია. მთავარი მაინც ისაა, რომ პარლამენტში გუშინ ომბუდსმენთა კანდიდატების მოსმენა დასრულდა. დეპუტატებს 19-კაციანი კანდიდატების სიიდან ბოლო სამისთვის - გიორგი ცობენიას, იაგო ხვიჩიასა და ნაზი ჯანეზაშვილისთვის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის სხდომაზე უნდა მოესმინათ, თუმცა მხოლოდ პირველი ორის მოსმენა მოუწიათ

მმართველი გუნდის შეხედულებით სახალხო დამცველი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით უნდა შეირჩეს: კეთილსინდისიერება, ავტორიტეტი, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა. ახალი ომბუდსმენის არჩევას 90 დეპუტატის მხარდაჭერა სჭირდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ კენჭისყრაზე საპარლამენტო პარტიებს შორის თანამშრომლობა აუცილებელია.

საქართველოს სახალხო დამცველობის კანდიდატმა ნაზი ჯანეზაშვილმა კანდიდატების შესარჩევ გასაუბრებაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, თუმცა საკუთარი კანდიდატურის მოხსნას არ აპირებს.

მან ბრიფინგზე აღნიშნა, რომ ხელისუფლება მისდამი ლოიალურად განწყობილ სახალხო დამცველს ეძებს.

„არ ვაპირებ, რომ ჩემი კანდიდატურა მოვხსნა, თუმცა, ამავდროულად, არ ვაპირებ, რომ გასაუბრებაში მონაწილეობა მივიღო. თავდაპირველად, ჩემი ინტერესი პროცესში მონაწილეობისა განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოსთვის ახლა ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების თვალსაზრისით, მივიჩნიე, რომ ეს შეიძლებოდა გამონაკლისი ყოფილიყო და ხელისუფლებას მართლაც შეერჩია პრინციპული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი კანდიდატი. სამწუხაროდ, გასაუბრების პროცესმა არ დამიტოვა შთაბეჭდილება, რომ ისინი რეალურად ისახავენ მიზნად, შეარჩიონ კანდიდატი, რომელიც საზოგადოებისთვის მისაღები იქნება, ასევე დამოუკიდებელი, პრინციპული და დააკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ქვეყანას ჰყავდეს ძალიან ღირსეული სახალხო დამცველი. ეს პროცესი არ მიტოვებს შთაბეჭდილებას, რომ რეალურად, გასაუბრების საფუძველზე მოხდეს კანდიდატის შერჩევა. მგონია, რომ ეს არის უბრალოდ ერთგვარი შოუ. ამიტომ, გადავწყვიტე, რომ ამ პროცესში მონაწილეობა არ მივიღო. გარდა ამისა, მინდა განვმარტო, რომ კანონით, რეგლამენტით და პროცედურებით, რომელიც საქართველოს პარლამენტმა დააწესა, არ არის სავალდებულო გასაუბრებაზე გასვლა, ვიყენებ ამ შესაძლებლობას და არ ვაპირებ გასაუბრებაზე მისვლას“, - განაცხადა ჯანეზაშვილმა.

ვაკის პარკში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს კვლევის მიხედვით, შადრევნიდან ექსპერტიზაზე წაღებული სამი ელექტროსადენიდან სამივე დაზიანებული იყო, ერთი - მჭრელი თვისებების მქონე საგნით. ექსპერტიზამ დაწერა, რომ შესაძლებელია კაბელები ცხაურებს დაეზიანებინა. სამხარაულის ექსპერტიზამ გამოძიებას მისწერა ისიც, რომ შადრევნის ელექტროტუმბოს დაზიანებული მკვებავი კაბელის მახლობლად სიცოცხლისთვის საშიში სიმძლავრის დენი უნდა ყოფილიყო, რომლის ზემოქმედების ძალაც დაზიანების ადგილის დაშორების პროპორციულად შემცირდებოდა. ამავე ბიუროში ამბობენ, რომ ეს არ არის საკმარისი ვისიმე ბრალეულობის დასამტკიცებლად.

ამ საკითხზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ირაკლი ნადირაძემ თბილისის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე განაცხადა:

„შადრევანს რომ გახსნი დიდი ზარ-ზეიმით, დაპატიჟებ ბავშვებს, მშობლებს და რამდენიმე საათში ანგელოზივით ბავშვი დაიღუპება, აქ არის პოლიტიკური პასუხისმგებლობა და უნდა გადადგე, აღარ სჭირდება ამას აღარც გამოძიება, აღარც ექსპერტიზა. ფაქტია, რომ ვერც რიგითი სამსახურის უფროსი და ვერც მოადგილე დავალებებს ვერ გასცემდა, მე ამის არ მჯერა... ამ ქალაქში თანხების განკარგვაზე, კორუფციაზე პასუხისმგებელია კახა კალაძე. აქ ვხედავ პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც და სამართლებრივსაც.“

პოზიცია-ოპოზიციის, მთლიანად ქართული საზოგადოების ყურადღება არაერთმნიშვნელოვნად მიიპყრო აშშ-ის ელჩის საქართველოში კელი დეგნანის განცხადებამ „მთავარი არხის“ დამფუძნებლის ნიკა გვარამიას საქმის შესახებ.

„მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის მნიშვნელობა არის ამ მომავლის ცენტრალური ნაწილი და ყველაფერი, რასაც თუნდაც პოლიტიზირების, პოლიტიკური დევნის სახე აქვს, ამ ევროატლანტიკურ მომავალს რისკის ქვეშ აყენებს. საქართველოს ლიდერებმა, მათ შორის მმართველმა პარტიამ, მისცა ქართველ ხალხს პიროობა საპარლამენტო არჩევნებში, რომ შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმებოდა საქართველოს ევროატლანტიკურ გზაზე, ყველაფერი, რაც ამას ხელს უშლის და რისკის ქვეშ აყენებს ამას, შეშფოთებას იწვევს. აშშ-ში ვიცავთ ჩვენი სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას, რადგან ვიცით, რომ მიუკერძოებელი სასამართლო არის ჩვენი დემოკრატიის საფუძველი და აძლიერებს და მდგრადს ხდის მას. იგივე გვინდა ქართველი ხალხისთვის“, - განაცხადა ელჩმა.

უმრავლესობის წევრი კახა კახიშვილი კელი დეგნანის ამგვარ გამოსვლას მწვავე კრიტიკით გამოეხმაურა.

„აშშ-ის სასამართლომ 40-წლიანი პატიმრობის შემდეგ გაათავისუფლა პირი, რომელიც მსჯავრდებული იყო მკვლელობის და გაუპატიურების ბრალდებით. 40 წელი მოიხადა სასჯელი და დღეს თქვეს, რომ თურმე ეს ადამიანი დამნაშავე არ იყო საერთოდ. რა ვქნათ ახლა, სასამართლოს რეფორმირება მოვთხოვოთ აშშ-ს თუ როგორ დავსაჯოთ ის მოსამართლე, რომელმაც 40 წელი პატიმრობაში ამყოფა უკანონოდ ადამიანი. ეს არის წმინდა სამართლებრივი საკითხი და დარწმუნებული ვარ, აშშ-შიც ექნებათ მსჯელობა კონკრეტულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. კანონით გაწერილია და არ უნდა მისცე თავს იმაზე მეტის უფლება, ვიდრე შენ გაკისრია როგორც ელჩს დამოუკიდებელ ქვეყანაში, ეს არ არის სწორი. სხვათა შორის, თავის დროზე, 2013 წელს, როცა ჩვენ სასამართლო სისტემას ვაკრიტიკებდით, ზუსტად აშშ-ის საელჩოდან იყო მოთხოვნა, რომ არცერთი მოსამართლე სამსახურიდან არ წასულიყო მიუხედავად იმისა, რა სიმძიმის განაჩენები გამოიტანეს მათ წინა წლებში. ეს იყო პირდაპირი მოთხოვნა და თქვეს, რომ სუფთა ფურცლიდან უნდა დაგვეწყო“, - განაცხადა კახა კახიშვილმა.

კახა კახიშვილის თქმით, ამა თუ იმ მოსამართლის შეფასება საქართველოს მოსახლეობის საქმეა და არა აშშ-ის ან სხვა ქვეყნების ელჩების.

ამასთან, კახი კახიშვილი საკუთარ პარტიასაც აკრიტიკებს, როცა ამბობს: „ნაციონალური მოძრაობა“ უფრო კარგად, უფრო ეფექტურად მუშაობდა საერთაშორისო თანამეგობრობაში და ჰქონდა შესაძლებლობა, რომ შავის მაგივრად თეთრი ეთქვა და ამაში დაერწმუნებინა, ჩვენ შავზე რომ შავია, იმასაც ვერ ვაჯერებთ. ვისი ბრალია? - ჩვენი ბრალია“, - თქვა მან.

გუშინ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელზეც გლობალური და რეგიონული უსაფრთხოების გარემოს მნიშვნელოვანი ტენდენციები და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები განიხილეს.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომის ჩატარებას ეხმაურება.

„მივესალმები ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომის ჩატარებას! უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად, ქვეყნის ინტერესების დასაცავად და საზოგადოების სიმშვიდისთვის მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი“,- წერს სალომე ზურაბიშვილი.

ამ მოკლე მიმოხილვას შედარებით კარგი ამბით დავასრულებთ - 2022 წლის ბოლოს, როგორც ეკონომისტმა გიორგი ცუცქირიძემ მედიაჰოლდინგ „კვირას“ პრესკლუბში განაცხადა, საქართველოში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა იქნება დაახლოებით 10,4-10,5% და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ეს უპრეცედენტო მოვლენაა. მან ასე შეაფასა მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები:

„ვნახეთ, რომ სექტემბერში ეკონომიკური ზრდა ასევე ძალიან მაღალია - 8, 8 %. იანვარ-სექტემბერში ზრდა თითქმის იდენტურია, საშუალო წლიური ზრდა ისეთივეა, რაც შარშან იყო - დაახლოებით, 10, 2 %. აქვე შეგვიძლია, პროგნოზი გავაკეთოთ: თუ გაუმჯობესებულ მაკროეკონომიკურ პარამეტრებს გავითვალისწინებთ, მათ შორის, ექსპორტის ზრდას, საგარეო სავაჭრო ბრუნვის ზრდას, რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე შარშან ამ პერიოდში, შეიძლება, ვთქვათ, რომ მიმდინარე, 2022 წლის ბოლოს ჩვენ ასევე ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვექნება, ჩვენი შეფასებით, დაახლოებით 10, 4- 10, 5 % , რაც უპრეცედენტოა. ბოლო 2 წლის მანძილზე ასეთი ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ძალიან მაღალი მაჩვენებელია არათუ რეგიონში, ასევე, ევროკავშირსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. აქედან გამომდინარე, ვამბობ, რომ ეკონომიკური ზრდის ტენდენცია და ის დინამიკა თუ შენარჩუნდა, რაც ბოლო 2 წელია გვაქვს, გაისადაც მაღალი ზრდა გვექნება, სავარაუდოდ - 8, 5 % მაინც. 2022-2027 წლებში ვიცით, რომ საშუალო წლიური ზრდის სავალუტო ფონდის პროგნოზი 5, 6 % -ია, რაც ყველაზე მაღალია რეგიონშიც, ევროპაშიც და ცენტრალურ აზიაშიც. ხაზს ვუსვამ, სავალუტო ფონდის პროგნოზები, ძირითადად, კონსერვატორული, არაოპტიმისტურია ხოლმე. ჩვენ ვნახეთ, რომ, სავალუტო ფონდის პროგნოზით, 2027 წელს 1 სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავალი 10 მილიარდ 500 მილიონზე მეტი გვექნება. ხოლო 2030 წელს ქვეყნის ეკონომიკა ერთ სულ მოსახლეზე 15 000 დოლარი იქნება, რაც უკვე მაღალშემოსავლიანი ქვეყნების სტატუსია. ესაა ჩვენი ეკონომიკის პერსპექტივის სავალუტო ფონდის პროგნოზი. კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ სავალუტო ფონდის პროგნოზები, ძირითადად, მაინც კონსერვატორულია, თუ ეკონომიკური ზრდის ეს დინამიკა შევინარჩუნეთ, რაც თუნდაც ბოლო 2 წლის განმავლობაშია, შეიძლება, ერთ სულ მოსახლეზე ეროვნული შემოსავლის თვალსაზრისით უფრო მაღალ ნიშნულზეც გავიდეთ , უკვე 2027 წელს ჩვენ შეიძლება არათუ 10 მილიარდ 500 მილიონი, არამედ 12 მილიარდზე ზემოთაც კი გვქონდეს, რაც დღეს ევროპის ცალკეული ქვეყნების მაჩვენებელია.

ვხედავთ, რომ ძალიან ბევრი მაკროეკონომიკური პარამეტრი მაღალი ეკონომიკური ზრდის საშუალებას იძლევა. ესაა მზარდი ექსპორტი, ექსპორტის დივერსიფიკაცია, ვხედავთ ლარის გაცვლითი კურსის როგორი სტაბილიზაციაა. ლარი დღესაც გამყარების ტენდენციას ინარჩუნებს, მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრიდან ტურისტული სეზონი მაინც მინავლებულია და არის მოლოდინები, რომ ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოსვლა შემცირდება. ესეც, ალბათ, იმით კომპენსირდება, რომ წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძალიან კარგი მაჩვენებელი გვექნება. პირველ ორ კვარტალში ძალიან კარგი, მაღალი მაჩვენებელი გვქონდა, გასულ წელთან შედარებით 4-ჯერაა გაზრდილი. უნდა ვივარაუდოთ, რომ წელსაც ზრდის მაღალი მაჩვენებლი გვექნება.

ასევე უნდა ვისაუბროთ ბიუჯეტის ძალიან კარგ მაჩვენებელზე. ვხედავთ, რომ დაკორექტირებულია ბიუჯეტი, ეკონომიკური ზრდის შედეგად გაზრდილია, შემოსავლები გაზრდილია, რამაც საშუალება მოგვცა, ბევრი პროგრამის, მათ შორის სოციალური თუ ინფრასტრუქტურულის, დაფინანსება მომხდარიყო“, - განაცხადა გიორგი ცუცქირიძემ.

მოამზადა
მარი მიდასელმა

უცხოეთი

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, ზოგიერთი „რესპუბლიკელი“ კანდიდატის მუქარა, რომ, დამარცხების შემთხვევაში, 8 ნოემბრის არჩევნების შედეგებს არ აღიარებენ, საფრთხეს უქმნის დემოკრატიას. მან ამომრჩევლებს მოუწოდა, კარგად დაფიქრდნენ იმ მომენტზე, რომელშიც ქვეყანა იმყოფება და გაერთიანდნენ პოლიტიკური ძალადობისა და ამომრჩევლის დაშინების წინააღმდეგ. თეთრი სახლის ლიდერის თქმით, არჩევნების უარმყოფი პირები შთაგონებული არიან ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ. „რესპუბლიკელების“ რიტორიკა, რომლებიც უარყოფენ 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს და ხმების გაყალბების უსაფუძვლო ბრალდებებს აყენებენ, მხოლოდ ამომრჩევლებისა და თანამდებობის პირების მიმართ ძალადობის წახალისებას ემსახურება,“ - აღნიშნა ბაიდენმა.

* * *

შვედეთმა და ფინეთმა შეასრულეს ალიანსში შესასვლელად თურქეთის პირობები. ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუსთან გამართულ საერთო პრესკონფერენციაზე განაცხადა. „დადგა დრო მივიღოთ ფინეთი და შვედეთი, როგორც ნატოს სრულფასოვანი წევრები, მათი ალიანსში გაწევრიანება გაგვაძლიერებს“, - აღნიშნა სტოლტენბერგმა. მისივე განცხადებით, ფინეთმა და შვედეთმა მნიშვნელოვნად გააძლიერეს ტერორიზმის საწინააღმდეგოდ თურქეთთან თანამშრომლობა.

* * *

პუტინი ელოდება „გენერალ ზამთარს“, რომ მოვა და დაეხმარება რუსეთის ჯარს. უკრაინას, უკრაინელ ხალხს ახლა ყველაზე მეტად უნდა დავუჭიროთ მხარი, - განაცხადა ვროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა გერმანიის ქალაქ მიუნსტერში, სადაც „დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა გაიმართა. მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თავს ესხმის სამოქალაქო ინფრასტრუქტურას იმის გამო, რომ მისმა ძალებმა ბრძოლის ველზე წარუმატებლობა განიცადეს. „პუტინის რუსეთი ანადგურებს უკრაინას. მათ არ შეუძლიათ მისი ოკუპაცია, ვერ გაიმარჯვებენ ბრძოლის ველზე, ვერ მოიგებენ ომს - ისინი ანგრევენ ქვეყანას“, - განაცხადა დიპლომატმა.

* * *

ჩვენ საკუთარი ისტორიული მიწების დასაცავად ვიბრძვით, - ამის შესახებ რუსეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი მედვედევმა განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, რუსეთი უზარმაზარი და მდიდარი ქვეყანაა და მას არ სჭირდება უცხო ტერიტორიები. „ყველაფერი უხვად გვაქვს. ჩვენ ვიცავთ ჩვენს ხალხს. ჩვენ ვიბრძვით ჩვენი მიწისთვის, ისტორიისთვის“, - აღნიშნა მედვედევმა. მისი თქმით, რუსები „ებრძვიან გიჟი ნარკომან-ნაცისტების გროვას და მათგან დაშინებულ ხალხს, ასევე მყეფარე ძაღლების დიდ ხროვას დასავლური გალიებიდან“ და ამიტომ მათი საქმე „წმინდაა“. „ჩვენი იარაღი სიმართლეა. ამიტომ არის ჩვენი საქმე სწორი. ამიტომ გამარჯვება ჩვენი იქნება!“ - დასძინა მედვედევმა.

მოამზადა
ია შველიძემ

კიდევ ერთხელ ჩვენი განათლების სისტემის შესახებ

საზოგადოების ისტორიული განვითარების ყველა საფეხურზე ის ქვეყანა იყო ძლიერი და სიცოცხლისუნარიანი, რომელსაც უკეთ ჰქონდა გადაწყვეტილი მომავალი თაობის აღზრდის პრობლემა.

„ის სახელმწიფოა ძლიერი, - წერდა ანტიკური ხანის დიდი მოაზროვნე არისტოტელე, - რომელიც მომავალ თაობას ზრდის თავისი პოლიტიკის სულისკვეთებით“, ციცერონის აზრით კი, „მთელი სახელმწიფოს დედაბოძს ახალგაზრდობის სწორი აღზრდა შეადგენს“. როგორები იქნებიან ჩვენი შვილები - კეთილნი თუ ბოროტნი, სასარგებლონი თუ უსარგებლონი, განათლებულნი თუ უმეცარნი, ამაზე იქნება დამოკიდებული ქვეყნის, ჩვენი ერის კეთილდღეობა, მისი ხვალინდელი დღე. ამიტომაცაა, რომ მოზარდი თაობის აღზრდას დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა საზოგადოების გაჩენის დღიდან თანამედროვე ეპოქამდე ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის დროს. მისი როლი კიდევ უფრო გაიზარდა თანამედროვე პირობებში, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში და განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, სადაც მკვლელობა, ქურდობა, ძარცვა-გლეჯა, ნარკომანია, სქესობრივი თავაშვებულობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა შესაძლებელია ჯერ ოჯახური აღზრდისა და შემდეგ განათლების სისტემის სრულყოფით. მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა დაადგა დამოუკიდებელი განვითარების გზას, განუწყვეტლივ მსჯელობენ ახალი განათლების სისტემის შემუშავებაზე, მაგრამ მის დახვეწასა და სრულყოფას საშველი არ დაადგა. ამიტომაც მასმედიაში ამაზე მსჯელობა და კამათი არ ცხრება.

მათთვის, ვინც არ იცის, აღვნიშნავ, რომ განათლების სისტემის ცნებაში იგულისხმება სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებშიც ხდება მომავალი თაობის აღზრდა, დაწყებული სკოლამდელი დაწესებულებებით და უმაღლესი სასწავლებლებით დამთავრებული.

იმე წლის წინ მოსწავლეთა თვითაღზრდასა და თვითგანათლებასთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩავატარე ქალაქ ბათუმის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების VII-XII კლასების მოსწავლეებთან და ერთი მოწინავე სკოლის დირექტორმა მითხრა, მეშვიდე-მეთერთმეტე კლასებში შეგიძლიათ ჩაატაროთ ექსპერიმენტი, ხოლო რაც შეეხება მეთორმეტეკლასელებს, მათი უმრავლესობა რეპეტიტორებთან დადის და სკოლაში არ ცხადდებიანო. მაშ, რად გვინდოდა კიდევ ერთი დამატებითი კლასი და ხათაბალა?! ფაქტობრივად, მოსწავლეები ამ კლასში ახალს არაფერს სწავლობენ და დროს უქმად აცდენენ.

რაც შეეხება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების 10-ბალიან სისტემას, ბატონი სერგოსგან განსხვავებით, მისაღებად მიგვაჩნია, რადგან ამ შემთხვევაში მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ხდება ისე, როგორც აფთიაქის სასწორზე და თუ ადრე ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეს უწერდა, ვთქვათ, ოთხის + ან - , ეს დღეს არ გვჭირდება.

„ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა, შესაცვლელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელწოდება - საჯარო სკოლა. ამ სახელწოდების მიხედვით გაურკვეველია, რომელ სკოლაზეა საუბარი - დაწყებით, არასრულ საშუალო თუ საშუალო სკოლაზე, რადგან ყველა საჯარო სკოლად მოიხსენიება

გაზეთ „აჭარის“ მიმდინარე წლის 27-28 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ამ თემაზე ამავე გაზეთის კორესპონდენტ ოთარ ცინარიძის დიალოგი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ სერგო დუმბაძესთან განათლების სისტემის მისეული შეხედულების შესახებ, რამაც მეც აღმიძრა სურვილი, გამოგვეთქვა ცოტა რამ ამ პრობლემის შესახებ.

ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა, შესაცვლელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სახელწოდება - საჯარო სკოლა. ამ სახელწოდების მიხედვით გაურკვეველია, რომელ სკოლაზეა საუბარი - დაწყებით, არასრულ საშუალო თუ საშუალო სკოლაზე, რადგან ყველა საჯარო სკოლად მოიხსენიება. ვითომ რას გვიშლიდა, რომ დარჩენილიყო ძველი სახელწოდებები - დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლა? ალბათ, იმიტომ შეცვალეს ეს ტერმინები, რომ კომუნისტური ეპოქისდროინდელია და ზოგიერთების აზრით, აუცილებლად საჭიროებდა შეცვლას. დღეს ზოგიერთ ყოფილ კომუნისტს სიტყვა „კომუნისტის“ ხსენებაც კი აღიზიანებს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ყოველივე ის, რაც კარგი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში, გადმოვიღოთ და გამოვიყენოთ დღეს ჩვენი ქვეყნისათვის. საბჭოთა განათლების სისტემა ხომ ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე იყო მსოფლიოში, საბჭოთა კავშირში კი - საქართველოს განათლების სისტემა. ჰოდა, ამას ბევრი ჩხირკედელაობა არ სჭირდებოდა.

ჩვენც ვიზიარებთ ბატონი სერგოს მოსაზრებას თერთმეტწლიანი სწავლების კვლავ შემოღების შესახებ. იყო პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში და მათ შორის საქართველოშიც, ათწლიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ფუნქციონირებდა, რომლებშიც სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სრულყოფილად შესწავლა შეუძლებელი იყო. ამიტომ შემოიღეს თერთმეტწლიანი სწავლება, რამაც სრულყო მოზარდი თაობის ჭეშმარიტ მამულიშვილებად, ერისა და ქვეყნის მსახურებად ჩამოყალიბება. ამის შემდეგ რა საჭირო იყო კიდევ ერთი წლის დამატება და ჩვენი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 12-წლიანად გადაქცევა?! ამ რამდენბათ, თუმცა ბევრი დირექტორი დღესაც ამ მდგომარეობაშია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას, რაც დღევანდელ სკოლებში სრულიად მივიწყებულია. ადრე ჟურნალ-გაზეთებში სისტემატურად ქვეყნდებოდა, ან რადიოთი თუ ტელევიზიით გადაიცემოდა მოსწავლეთა პროფორიენტაციასთან დაკავშირებული წერილები, დღეს კი ამაზე არავინ საუბრობს. ამიტომაა, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა ხან ერთ ფაკულტეტს ამთავრებს და ხან მეორეს, რაც ძვირად უჯდება ოჯახსაც და ქვეყანასაც.

ზემოთ აღნიშნულ საუბარში სავსებით სამართლიანად აღნიშნულია, რომ საჭიროა შეიქმნას სტაბილური სახელმძღვანელოები და ყველა სკოლაში ერთი და იგივე სახელმძღვანელო გამოიყენებოდეს. ასევე სასწავლო წელი ქვეყნის ყველა სკოლაში უნდა იწყებოდეს ერთსა და იმავე დღეს, სასურველია, ისევ - პირველ სექტემბერს, თორემ მოსწავლის ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია.

გაუმართლებლად მიგვაჩნია უკანასკნელ წლებში ჩვენს საჯარო სკოლებში პირველი კლასიდან ინგლისური ენის სწავლების შემოღება, მაშინ როცა მოსწავლემ საფუძვლიანად ჯერ კიდევ მშობლიური ენაც არ იცის. ეს სრულიად ეწინააღმდეგება კლასიკოსი პედაგოგების - ი. ა. კომენსკის, კ. დ. უშინსკის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა მოსაზრებებს, რომელთა აზრით, უცხოური ენის სწავლება უნდა დაიწყოს მოსწავლეთა მიერ მშობლიური ენის საფუძვლიანად დაუფლების შემდეგ, რათა შუამავლის როლი ამ უკანასკნელმა შეასრულოს. იაკობ გოგებაშვილს უცხო ენის შესწავლა დასაშვებად მიაჩნდა მხოლოდ მესამე კლასიდან და არა ბავშვის სკოლაში მიღების პირველი დღიდანვე.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ბატონ სერგოს იმაში, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ აღდგეს ჩვენს ქვეყანაში მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები და რესურსცენტრებთან (და რატომ არა - განათლების განყოფილებებთან?) - მეთოდური კაბინეტები, თორემ დღეს მასწავლებლებს დამხმარე არავინ ჰყავთ. გარდა ამისა, აუცილებლად მიგვაჩნია სკოლის დირექტორისა და მისი მოადგილის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში მასწავლებელთა გაკვეთილებზე სისტემატური დასწრება და მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების საფუძვლიანად განხილვა-გაანალიზება. კარგი სკოლის დირექტორის ხელში დამწყები მასწავლებელი მეორე „უმაღლესს“ დაამთავრებს და დახელოვნდება, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ სკოლის დირექტორებად დაინიშნონ კვალიფიციური, გამოცდილი მასწავლებლები და არა ნებისმიერი დარგის სპეციალისტები.

ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მასწავლებელთა მიერ მშობელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლება, რისთვისაც საჭიროა ეგრეთ წოდებული მშობელთა სახალხო უნივერსიტეტების აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს სკოლისა და ოჯახის კავშირ-ურთიერთობის განმტკიცებასა და საშეფო მუშაობას.

დაბოლოს, სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების უმრავლესობაში დირექტორის მოადგილე კლასგარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის დარგში - ორგანიზატორის შტატის გაუქმება, რამაც საგრძნობლად დასცა მოსწავლეთა აღზრდის დონე სკოლებში. დღევანდელი ჩვენი სკოლა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებადაა ქცეული, ხოლო რაც შეეხება მოსწავლეთა აღზრდას, იგი თითქოს სკოლის ფუნქციებში არ შედის. ბევრ სკოლაში მოსწავლეთა შორის თითქმის არ ტარდება არავითარი აღმზრდელობითი ღონისძიება - კონფერენციები, დილა-საღამოები, ექსკურსიები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვ. ხშირად ესა თუ ის ღონისძიება მოსწავლეთა შორის ტარდება ღონისძიებისათვის „და არა კაცის გაადამიანებისათვის“ (ი. ჭავჭავაძე). ცხადია, ასეთ ღონისძიებას სასურველი შედეგი არ მოსდევს.

მოსწავლეთა აღზრდას ნაკლები ყურადღება ექცევა ცალკეული საგნის სწავლების პროცესშიც. მასწავლებელთა დიდი ნაწილი კმაყოფილდება მხოლოდ საგაკვეთილო თემის, ანუ მასალის გადაცემით, ხოლო რაც შეეხება ამ მასალის მოსწავლეთა აღზრდის მიზნით გამოყენებას, ანუ აღმზრდელობითი სწავლების პრინციპის განხორციელებას, ეს მათ მეორეხარისხოვან ან, უკიდურეს შემთხვევაში, კლასის ხელმძღვანელის საქმედ მიაჩნიათ. დიდი ილია კი გვასწავლის: „...სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა სწურთვნიდეს კიდეც ბავშსა და ასწავლიდეს კიდეც. წურთვნა და სწავლა ხელიხელს გადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“. წინააღმდეგ შემთხვევაში, გავზრდით „განათლებულ უზრდელებს“. იან ამოს კომენსკი პიროვნებას, რომელსაც ცოდნა, განათლება აქვს, მაგრამ აღზრდა აკლია, „განათლებულ უზრდელს“ უწოდებს, ვასილ სუხომლინსკი კი „განათლებულ ველურს“, რომელიც, მისი აზრით, ასჯერ უფრო საშიშია, ვიდრე გაუნათლებელი. ეს ისეთი შედარებაა, როგორსაც გვთავაზობს დავით გურამიშვილი: „უწვრთნელი ძაღლი სჯობია, უწვრთნელი შვილის ყოლასა“.

კიდევ ბევრი სხვა საკითხია მოსაგვარებელი ჩვენს განათლების სისტემაში, მაგრამ ამჯერად ეს ვიკმაროთ და სხვას დავუთმოთ სიტყვა.

ნოდარ ბასილაძე,
პედაგოგიკის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

საქართველოს პარლამენტის წევრები აშშ-ის კონგრესისა და სენატის არჩევნებს დააკვირდებიან

საქართველოს პრესსამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრები აშშ-ის კონგრესის და სენატის არჩევნებში საერთაშორისო დამკვირვებლების სტატუსით მიიღებენ მონაწილეობას.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ სამხარაძე და დელეგაციის წევრი მაკა ბოჭორიშვილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის და სენატის არჩევნებში ეუთოს სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში იქნებიან წარმოდგენილნი.

მათი ინფორმაციით, ამა წლის 8 ნოემბერს არჩევნების მიმდინარეობას საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ნევადას შტატში, ხოლო ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ნიუ-იორკში დააკვირდება.

ამირან გურიელიძე

როგორ ჩავრთოთ მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესში?

მოტივაციის ამაღლება – დღევანდელობის გამოწვევა

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*ლიტერატურის სწავლებას რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლის სწავლა-აღზრდაში, საკამათო როდია. სულის ზრდა, პიროვნების ჩამოყალიბება სწორედ რომ ღირებული ლიტერატურული ნაწარმოების გაცნობით იწყება, რომლის საფუძველი ხარისხიანი სახელმძღვანელოა... როგორი ლიტერატურული სახელმძღვანელოა უკეთესი, რათა პედაგოგმა დასახულ მიზანს მიაღწიოს, გააუმჯობესოს მოსწავლის ესთეტიკური აღქმის უნარი და მხატვრული გემოვნება? ამ კითხვაზე ყველაზე უკეთ პრაქტიკოსი პედაგოგები უპასუხებენ. ამჯერად ქობულეთის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვან მასწავლებელ (დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში) **მედეა კალანდარიშვილს** მივმართეთ.*

- ქალბატონო მედეა, 48 წელია პედაგოგი ხართ, განვლილ გზაზე გვიამბეთ.

- 1974 წლიდან ვმუშაობ ქაქუთის საჯარო სკოლაში, მაშინ 21 წლის ვიყავი, ჯერ კიდევ სტუდენტი. ასე მგონია, სწრაფად გავიდა 48 წელი, უკან მოხედვის დროც კი არ მქონდა. ცხოვრების გზაზე იყო მიღწევებიც, პრობლემებიც, მაგრამ არა სინანული არჩეული გზისა. საგნის ცოდნა და ბავშვების სიყვარული მეხმარებოდა, წინააღმდეგობების მიუხედავად, მოსწავლეთათვის სასურველ პედაგოგად დავრჩენილიყავი. მოსწავლეები მაძლევდნენ ძალას, რომ ცხოვრებისეული ტკივილებისთვის გამეძლო, თუნდაც იმ დიდი ტრაგედიის შემდეგ, როცა სიცოცხლემ აზრი დაკარგა და დროც გაჩერდა ჩემთვის, გადავრჩენილიყავი როგორც ადამიანი და როგორც მასწავლებელი (9 წლის შვილი დამეხრჩო მდინარეში)... ლიტერატურა ყოველთვის მეხმარებოდა, სწორი ანალიზი და შეფასება გამეკეთებინა და ცხოვრება გამეგრძელებინა. მე ეს შევძელი. ვცდილობ, ისე ვასწავლო ჩემს მოსწავლეებს, რომ მარცხისა და გამარჯვებისთვის თანაბრად მოემზადონ. არც მარცხს უნდა შეუშინდნენ და არც გამარჯვების ხიბლში ჩავარდნენ, რადგან ცხოვრება ცვალებადია.

- მშობლიური ლიტერატურის კარგად სწავლა სიყვარულის უნარს აძლიერებს და აკეთილშობილებს მოზარდს, ეს აქსიომაა, მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს პრობლემა - სასწავლო მასალის ხარისხი.

- სრულიად ვეთანხმები გურამ დოჩანაშვილს, რომ „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები უფრო უკეთესი, ვიდრე ხარ“... და ლიტერატურა რომ აკეთილშობილებს ადამიანს და, მით უმეტეს, მოზარდს, ამაზე არავინ დავობს, თუმცა ეს იმის უფლებას არავის აძლევს, სასწავლო სახელმძღვანელოებში „ყველაფერი“ ჩავდოთ და შემდეგ „არაფერი“ მივიღოთ. საბედნიეროდ, არ გვაქვს ღირებული ნაწარმოების სიმცირე, მაგრამ უკეთესი იქნება, სახელმძღვანელოების ავტორებმა კარგად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესები და შესაძლებლობები. სახელმძღვანელო, ჩემი აზრით, საშუალო მოსწრების მოსწავლეზე უნდა იყოს გათვლილი (მაღალი მოსწრების ბავშვები კლასგარეშე ლიტერატურასაც კითხულობენ). კარგია, რომ ერთსა იმავე პრობლემას სხვადასხვა კულტურებში ეცნობიან, მაგრამ აქაც ბალანსი უნდა იყოს დაცული (არც ის მიმაჩნია სწორად, საზღვარგარეთის ლიტერატურის ნიმუშით იწყებოდეს სახელმძღვანელო). არსებითი მნიშვნელობა აქვს ტექსტების სწორად შერჩევას, რომლებიც დასახულ მიზნებს კარგად უნდა ერგებოდეს. და მაინც, მგონია, რომ ტექსტის მხატვრული ღირებულების აღქმა უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, რამეთუ ლიტერატურა, პირველ რიგში, სულიერი საზრდოა.

- რა ხერხებს იყენებთ გაკვეთილებზე მოსწავლეთა ჩართულობისა და მოტივიციის ასამაღლებლად?

- მაღალი მოტივაციის გარეშე სასურველ შედეგზე რომ ვერ გავალთ, ეს ყველამ იცის. აი, მოტივაციის ამაღლება ნამდვილად არის დღევანდელობის გამოწვევა. იოლი არაა დღევანდელი ეპოქის მოსწავლის დაინტერესება. ამას ინფორმაციის მიწოდებით ვერ შეძლებ, რადგან ის ჩვენზე უკეთ მოიძიებს ინფორმაციას. ცხადია, მოტივაციას წინ უძღვის განწყობის შექმნა. როგორც ჟურნალისტებს უყვართ ხოლმე, ხანდახან კითხვა ისე უნდა დასვა, „ინტრიგა“ ჩააგდო, ფრჩხილი არ უნდა გახსნა. ბავშვებს უყვართ აღმოჩენები, ამისთვის ისინი იმუშავებენ და თავად იპოვნიან პასუხს. პროვოცირება მნიშვნელოვანია. მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როცა გაკვეთილი არასაგაკვეთილო ლექსის სტრიქონებით დამიწყია. „ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის“... ან „თქვი, არჯაკელო, ხვიარა“... დიახ, უმჯობესია, ბავშვების ყურადღება შენს ხელში იყოს, ვიდრე რჩევით, თხოვნით მიიქციო მათი ყურადღება და მოგისმინონ (ზოგჯერ რომანტიზმი განწყობაზე კარგად მუშაობს, მაგრამ ამისთვის ყოველთვის ლექსი არ გამოდგება). საჭიროა, კარგად იცნობდე შენს მოსწავლეებს, კეთილგანწყობილი ურთიერთობა გქონდეს მათთან. ტყუილად კი არ გვასწავლის რუსთაველი, რასაცა გასცემ შენიაო. ასეა, მოუსმენ - მოგისმენს, შეიყვარებ - შეგიყვარებს, პატივისცემით მოეპყრობი, იმავეს დაიმსახურებ. მასწავლებელს და არა მხოლოდ მასწავლებელს, ყველას უნდა შეეძლოს ბავშვის პიროვნებად აღზრდა.

- თქვენს მოსწავლეებს როგორ აქვთ განვითარებული პიროვნული და სოციალური უნარები?

- მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებით ხდება მათი მომზადება საზოგადოების სრულფასოვან წევრად. რა თქმა უნდა, ამის საფუძველი ყოველ გაკვეთილზე იყრება, როცა ისეთ პიროვნულ სოციალურ თვისებებს იძენს, როგორებიცაა მიმტევებლობა, სამართლიანობა, თანაგრძნობა, სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი ღირსების შეგრძნება და სხვა, მაგრამ საგაკვეთილო დრო არასაკმარისია ამისთვის. ამიტომ მე ყოველთვის მივმართავდი არაფორმალურ განათლებას. საკმაოდ დიდი გამოცდილება მაქვს საკლუბო და საწრეო მუშაობაში. ვხელმძღვანელობდი ლიტერატურულ კლუბ „აისს“, ლიტერატურულ კინოკლუბ „ნატვრის ხეს“. პანდემიის პერიოდში ორი წელი შეწყდა მუშაობა და ამან ცუდი გავლენა იქონია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების განვითარებაზე. წელს უკვე ჩამოვაყალიბეთ კლუბი „კარცერლუქსი“ და შევუდექით მუშაობასაც. კლასგარეშე აქტივობებით კიდევ უფრო იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია. საერთოდ, ჩვენი სკოლა ყოველთვის აქტიურად იყო ჩართული მოსწავლეთათვის არაფორმალური განათლების მიცემაში.

- სააღმზრდელო პროცესში მნიშვნელოვანია მოსწავლეებთან სწორი, გონივრული, მიუკერძოებელი დამოკიდებულება, ამ კუთხით თქვენი გამოცდილება გაგვაცანით.

- მოსწავლეთა სწავლება და აღზრდა განუყოფელი პროცესია. მასწავლებელი ხშირად ხდება მოსწავლეთა ქცევის ნიმუშადაც კი. ამიტომ ვალდებულია, თავისი ქცევა აკონტროლოს. საშინელებაა, როცა ასწავლის ერთს და აჩვენებს მეორეს. მოსწავლე მასწავლებელს არასდროს აპატიებს უსამართლობას, სუბიექტურობას. თავად უნდა იყო მეტრი ღირსეული ადამიანობისა, რომ შეძლო სამართლიანი, პასუხისმგებლიანი პიროვნების აღზრდა, ან თუ შეცდომა დაუშვი, მისი აღიარება შეგეძლოს, ბოდიშის მოხდაც. სწორედ ესაა მაგალითი მოსწავლისათვის, ასეთ მასწავლებელს აღიარებს მოსწავლე. მაქსიმალურად ვცდილობ, დავიცვა ეს ნორმები.

- მრავალი თაობის აღმზრდელი ხართ. ახლანდელი როგორია? თქვენი აზრით, მათთვის რა არის უპირატესი?

- როგორც ყველა თობას, აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი, თუმცა ყველაფერზე მაღლა ის დგას, რომ ის მომავალი თაობაა, რომელსაც უნდა გადავბაროთ ყველაფერი, რაც ვერ შევქმენით და რაც ვერ გავაკეთეთ. არ შეიძლება შენს მომავალს საყვედურობდე, მით უმეტეს, თუ ხედავ, რომ იმაზე ძლიერი, ჭკვიანი და მიზანდასახულია, ვიდრე შენ იყავი მათ ასაკში. რა შეგვიძლია? ჩვენი გამოცდილება გავუზიაროთ, რჩევა მივცეთ და არა დავავალდებულოთ, სანიმუშო ტრადიციებზე ვესაუბროთ, საამაყო რაც გვაქვს, კარგად ავუხსნათ. ნურც იმას დავუმალავთ, რაც ვერ გავაკეთეთ, რაც გავაფუჭეთ, რა პრობლემებსაც ვუტოვებთ გადასაჭრელად. მხოლოდ მაშინ გვენდობიან და გაითვალისწინებენ ჩვენს რჩევებსაც და შეცდომებსაც.

- ციფრული ეპოქა მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს ადამიანს და ახალგაზრდები პრობლემებს კარგად რომ გაუმკლავდნენ, უპირველესად, რა არის საზრუნავი და მოსაგვარებელი?

- იმ მრავალრიცხოვან სიკეთესთან ერთად, რაც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებას მოაქვს, ჩემი აზრით, არსებობს საშიშროებაც. ვფიქრობ, შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა შორის გაუცხოება, ემპათია, გრძნობების შესუსტება, ბუნებრივი სილამაზის აღქმის უნარის დაკარგვა, სიყვარულის გაუფასურება, მოკლედ, „რობოტული“ ცხოვრება. ცხოვრება რომ მშვენიერი იყოს, ადამიანი, პირველ რიგში, ადამიანად უნდა დარჩეს. გრძნობდეს „ადამიანად ყოფნის სევდის“ მშვენიერებას, სილამაზეს, სიყვარულს, ოღონდ რეალურად და არა კომპიუტერით, ამისათვის კი ერთ-ერთი „წამალი“ ლიტერატურაა ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად. მიმაჩნია, რომ წიგნის კითხვას თავისი განსაკუთრებული ადგილი სჭირდება, რათა იგი კომპიუტერმა არ „შეჭამოს“.

- ვინ არის მწერალი, რომელსაც ყველაზე ხშირად ციტირებთ გაკვეთილზე, ვინც ხელს გიწყობთ და გეხმარებათ, რომ მოსწავლეთა გულის კარები შეაღოთ?

- ძნელია, ფილოლოგი ერთ ან ორ მწერალს ციტირებდეს. გააჩნია თემას, პრობლემას. ყველას თავისი ადგილი უჭირავს, შესაფერი, მაგრამ მაინც ვერ გავექცევი აღიარებას, რომ რუსთაველი ყველა საკითხს თუ დროს ეხება და მისი ციტირება ყველაზე მეტად მიწევს. სხვანაირად შეუძლებელია.

- თქვენი აზრით, როგორია ამჟამინდელი ლიტერატურის სახელმძღვანელოები, რის დამატება ან, პირიქით, ამოღება გააუმჯობესებდა მათ?

- სახელმძღვანელოების პრობლემებზე ზემოთ ვისაუბრე, თუმცა კონკრეტულად, საშუალო საფეხურზე უფროა გადასახედი სახელმძღვანელოში შეტანილი მასალა. მიჭირს ამაზე საუბარი, რადგან ჩემთვის ორი განსაკუთრებული ნაწარმოების ამოღება მიმაჩნია მართებულად. ესენია „დიდოსტატის მარჯვენა“ და „ჯაყოს ხიზნები“. ცხადია, მათი ტოლფასი ნაწარმოებით შეცვლა იოლი არ იქნება, მაგრამ ამ ზომის ტექსტების მე-12 კლასში სწავლება არარეალურია. მიზეზი ბევრია, მოსწავლეებიც რომ სრულად ესწრებოდნენ გაკვეთილებს, მაინც გაჭირდება მათი დამუშავება-შესწავლა. უმეტესად ამ ამოცანის შესრულებას, სამწუხაროდ, ეწირება საზღვარგარეთის ლიტერატურა. არის სხვა პრობლემებიც, რომლებზეც, იმედია, იფიქრებენ, ვისაც ხელეწიფება მათი ცვლილება.

- რას ეტყოდით ჩვენს მკითხველს?

- მინდა, ყველას, ვინც ამ ინტერვიუს კითხულობს, მადლობა გადავუხადო, წარმატებები ვუსურვო და ვთხოვო: დააფასეთ მასწავლებელი, ნუ გახდით მას თავდასხმის ობიექტად, დაეხმარეთ, გვერდით დაუდექით უმნიშვნელოვანესი მისიის შესრულებაში.

> *„ლიტერატურა რომ აკეთილშობილებს ადამიანს და, მით უმეტეს, მოზარდს, ამაზე არავინ დავობს, თუმცა ეს იმის უფლებას არავის აძლევს, სასწავლო სახელმძღვანელოებში „ყველაფერი“ ჩავდოთ და შემდეგ „არაფერი“ მივიღოთ. საბედნიეროდ, არ გვაქვს ღირებული ნაწარმოების სიმცირე, მაგრამ უკეთესი იქნება, სახელმძღვანელოების ავტორებმა კარგად გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკობრივი ინტერესები და შესაძლებლობები. სახელმძღვანელო, ჩემი აზრით, საშუალო მოსწრების მოსწავლეზე უნდა იყოს გათვლილი (მაღალი მოსწრების ბავშვები კლასგარეშე ლიტერატურასაც კითხულობენ)*

ავსტრიელთა გამოცდილების გასაცნობად...

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, უწყების დელეგაცია იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის, მისი მოადგილეებისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის უფროს ნიკა ცხვარაშვილის შემადგენლობით კორნეუბურგის პენიტენციურ დაწესებულებას ეწვია.

სტუმრებს ადგილზე გააცნეს ავსტრიის პენიტენციური სისტემის მოწყობისა და მართვის მოდელი, რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის, მსჯავრდებულთა განათლების, სპორტისა და დასაქმების პროგრამები.

ავსტრიასთან ასევე გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელსაც საქართველოს და ავსტრიის იუსტიციის მინისტრებმა მოაწერეს ხელი. მემორანდუმი იუსტიციის სისტემის რეფორმების სფეროში მჭიდრო პარტნიორობის გაძლიერებას გულისხმობს.

იუსტიციის სამინისტროს განცხადებით, პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემის განვითარება სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. უწყებას 10-წლიანი განვითარების გეგმაში გაწერილი აქვს კონკრეტული ღონისძიებები; მათ შორის, ახალი, მცირე ზომის ეგრეთ წოდებული ოჯახური ტიპის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა, საკნის გარე აქტივობების ხელშეწყობა, სწავლაზე მსჯავრდებულთა ხელმისაწვდომობის გაზრდა, რისთვისაც მსჯავრდებულებისთვის უკვე ამოქმედდა ინოვაციური პროექტი „ციფრული უნივერსიტეტი“. პროექტი შესაძლებლობას აძლევს მსჯავრდებულებს, სრულფასოვნად ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

სამინისტროს განმარტებით, უწყებისთვის პრიორიტეტულია ძლიერი, უსაფრთხო და ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული გარემოს უზრუნველყოფა, რისთვისაც ხორციელდება სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროექტი. იუსტიციის სამინისტრო ხელს უწყობს პატიმრების დასაქმებასა და მომავალი პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენას.

ამირან გურიელიძე

ჩანჩხალო ნიგაზეულს უმოკლესი საავტომობილო გზით დაუკავშირდება

შუახევის მუნიციპალიტეტში ჩანჩხალო ის სოფელია, სადაც მეწყრული პროცესები ყველაზე მეტადაა გააქტიურებული. ეს გახდა მიზეზი, რომ სოფლის ერთი ნაწილი ლამის მოიშალა. მეწყრული პროცესების განვითარების გამო ჩანჩხალო დაბა შუახევის ცენტრს ღორექედ-სხეფზე გამავალი საავტომობილო გზით უკავშირდებოდა, რაც სირთულეებთან იყო დაკავშირებული

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან ორ მილიონამდე ლარი გამოიყო ჩანჩხალოში მისასვლელი გზის სარეკონსტრუქციოდ და ასფალტის დასაგებად. როგორც შპს «გზების» სამუშაოთა მწარმოებელმა დავით აბაშიძემ გვითხრა, სამუშაოები ორგანიზებულად და ხარისხიანად მიმდინარეობს. პროექტი გარდამავალია და გაისად დასრულდება. ამ ეტაპზე, სანიაღვრე არხებს აწყობენ, საყრდენ კედლებს აშენებენ.

ჩანჩხალოზე გადის «შუახევიჰესის» გამშვები გვირაბი. ჰესის მშენებლობის პერიოდში სოფელში, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს «აჭარისწყალი ჯორჯიას» თანადაფინანსებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. საჯარო სკოლაში სველი წერტილები მოეწყო, ბაგა-ბაღი აშენდა, მოწესრიგდა სათიხეთში გამავალი საავტომობილო გზა, ზედა ჩანჩხალოში სკოლის შენობა გაკეთდა, მოწესრიგდა ცალკეულ უბნებში მისასვლელი საავტომობილო გზები. მაშინ გაჩნდა იდეა, რომ ჩანჩხალო და ნიგაზეული ერთმანეთს უმოკლესი საავტომობილო გზით დაუკავშირდებოდა, მაგრამ პროექტი ვეღარ განხორციელდა. ამ და ზოგიერთი სხვა პროექტის განხორციელებას ჩანჩხალოელებმა ფულადი კომპენსაციის მიღება არჩიეს.

გზა კი გაუკეთებელი დარჩა.

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ დიასამიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ირმა აფხაზავა, შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მისი პირველი მოადგილე გიორგი დავითაძე, მერის მოადგილე რუსუდან შავაძე, საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ზაზა დავითაძე, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის თორნიკე რიჟვაძის ინიციატივის შესაბამისად, ამ დღეებში ჩანჩხალოელებს რომ ხვდებოდნენ, მომავალში განსახორციელებელ პროექტებთან ერთად, აქაურებმა ბადრი მახარაძემ, ჯემალ დიასამიძემ, ზაურ მიქელაძემ ჩანჩხალო-ნიგაზეულის გზის გაკეთებაც მოითხოვეს.

- გაძლევთ პირობას, რომ ჩემი მერობის ვადის ამოწურვამდე ჩანჩხალო ნიგაზეულს უმოკლესი საავტომობილო გზით დაუკავშირდება, - უთხრა ჩანჩხალოელებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ.

შეხვედრაზე, ასევე, ისაუბრეს სარწყავი და სასმელი წყლის დეფიციტზე. ითქვა, რომ ჩანჩხალოს და ნიგაზეულს ერთი წყალსადენი ემსახურება, რომელიც საერთო მოთხოვნების მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

მწვავე დისკუსია იყო ჩანჩხალოში წარმოებული თამბაქოს რეალიზაციაში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანადგომაზე, რასაც ირმა აფხაზავამ ამომწურავი პასუხი გასცა. სამინისტრო ლაბორატორიის და ინვესტორის ძიებაშია.

იმავე დღეს შეხვედრა შედგა დაბა შუახევში, რომელსაც დაბაძველის, ბესელაშვილების, სხეფის, ოქროპილაურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ამ შეხვედრაზე მთავარ პრობლემად დაბა შუახევში საჯარო სკოლის შენობის გაჭიანურებული მშენებლობა დაასახელეს. პროექტი შარშან უნდა დაესრულებინათ, მაგრამ წელსაც სასიკეთო პირი არ უჩანს. როგორც შეხვედრაზე პედაგოგმა თეიმურაზ დავითაძემ თქვა, ორი კლასის მოსწავლეებს გაკვეთილები გატიხრულ დარბაზში უტარდებათ, ზამთარში მათი გათბობა ვერ მოხერხდება, რაც მოსწავლეებსა და პედაგოგებს სირთულეებს შეუქმნის.

მინისტრის მოადგილე ოთარ დიასამიძემ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ უკვე გამოძებნილია კომპანია, რომელიც მთა ჩირუხში ორზოლიანი ზიპლაინის მშენებლობაში ჩაერთვება. სამინისტრომ კონკურსი უკვე გამოაცხადა. ტურისტული ლოკაცია თავისი მასშტაბით მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური იქნება. მან, ასევე, ჭვანის ხეობაში მიმდინარე ტურისტული ობიექტების მშენებლობაზე ისაუბრა.

- ორივე შეხვედრა საინტერესო და შინაარსიანი იყო. მოსახლეობის წარმომადგენლები ინფორმირებულნი არიან იმ პრობლემებისა და პროექტების თაობაზე, რაც სამინისტროების, სხვა ორგანიზაციების, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით, ქვეყნისა და რეგიონის ხელმძღვანელობის ინიციატივით მიმდინარეობს. პრობლემები, წინადადებები, რომლებიც ამ შეხვედრებზე გამოითქვა, ყურადსაღებია და პერიოდულად აისახება მომდევნო წლის პროგრამებში, - თქვა ირმა აფხაზავამ.

ამჯერად ბუთურაულსა და ნიგაზეულში

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება. მორიგი შეხვედრა გაიმართა ბუთურაულისა და ნიგაზეულის მოსახლეობასთან. ბუთურაულში გამართულ შეხვედრაზე ამავე სოფლის საჯარო სკოლის დირექტორმა ბულბული მგელაძემ აღნიშნა, რომ სკოლის შენობა თანამედროვე სტანდარტებს ვეღარ აკმაყოფილებს. საკლასო ოთახების ნაკლებობის გამო კლასკომპლექტი ვერ გაყვეს. სკოლაში ამ ეტაპზე 65 მოსწავლეა, მათ აღზრდას 18 პედაგოგი ემსახურება. ილია დიასამიძემ, დიმიტრი მიქელაძემ სასოფლო გზების შეკეთება, საცხოვრებელი სახლების კეთილმოსაწყობად თანხების გამოყოფა მოითხოვეს.

ნიგაზეულის საჯარო სკოლის საძირკვლის გამაგრება, სოფლის საფარი ტყიდან ზეხმელი მერქნის დროული გამოტანა, ნადირის, განსაკუთრებით დათვების, შემოტევის საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, სოციალურად დაუცველ გედევან ხიმშიაშვილისთვის საცხოვრებელი სახლის შესყიდვა, თამბაქოს რეალიზაციაში ხელისუფლების თანადგომა იყო ნიგაზეულში გამართული შეხვედრის მთავარი საკითხები.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე აკაკი ძნელაძემ, შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მისმა მოადგილე გიორგი კეკელიძემ რიგი საკითხები შეხვედრების მონაწილეებს სამუშაო პროცესში მოუგვარეს, ნაწილი პრობლემებისა კი მოინიშნეს და, როგორც აღნიშნეს, ისინი მომავალი წლის პროგრამებში იქნება ასახული.

რეგიონისა და შუახევის მუნიციპალიტეტის, ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოსახლეობას სხვადასხვა უწყებაში მიმდინარე პროგრამებსა და პროექტებზე მიაწოდეს ინფორმაცია, უპასუხეს მოქალაქეების მიერ დასმულ შეკითხვებს.

გარემო სუფთა რომ იყოს...

სამთო კურორტი ბეშუმი, სამთო-სათხილამურო კურორტი გოდერძი, 45-ზე მეტი სოფელი, ათეულობით დასახლებული უბანი, დაბა ხულოს ცენტრის ქუჩები დასუფთავებასა და მყარი ნარჩენების დროულ გატანას საჭიროებს.

მყარი ნარჩენების ეფექტური მართვის მიზნით, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიამ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ნაგავმზიდი ავტომობილი შეიძინა. იგი ხულოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ყველა სირთულის გზაზე გადაადგილებისათვის არის განკუთვნილი.

- ხულო ტურისტული მუნიციპალიტეტი ხდება. წელს რამდენიმე სანახაობითი ობიექტი გაკეთდა. სუფთა გარემოს შენარჩუნება, ნარჩენების დროული გატანა კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის კურორტებსა და სოფლებს, - გვითხრა ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილე ნადიმ ვასაძემ.

პირველი ადგილი - შუახევის სკოლის გუნდს

ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა შუახევის პირველობაზე შეჯიბრება მინი-ფეხბურთში. ასპარეზობაში 10-ზე მეტი 17 წლამდელებით დაკომპლექტებული გუნდი მონაწილეობდა. პირველობა ოლიმპიური წესით ჩატარდა. ფინალში ერთმანეთს შუახევისა და წყაროთის საჯარო სკოლების გუნდები დაუპირისპირდნენ. დაძაბულ პაექრობაში ანგარიშით 2:1 შუახევის სკოლის გუნდმა გაიმარჯვა. მესამე ადგილი ხიჭაურის საჯარო სკოლის გუნდს ერგო.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდების ფეხბურთელებს მიესალმნენ, მედლებით, საპატიო სიგელებით, გუნდები კი თასებით დააჯილდოვეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, მერის პირველმა მოადგილე მირიან აბაშიძემ, შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებმა მალხაზ ტაკიძემ და ზაზა დავითაძემ.

- ჩვენს სკოლაში სპორტს გამორჩეული ყურადღება ექცევა, - გვითხრა შუახევის საჯარო სკოლის დირექტორმა, საქართველოს სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა მზია გოგაძემ,- ჯერ იყო და ვაჟებმა კალათბურთში პირველობა არავის დაუთმეს. ამჯერად - ფეხბურთელებმა გვასახელეს.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

ბიჭი, რომლის პროგნოზის ყველას სჯერა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„კობას გამოცხადებული პროგნოზის ყველაზე მეტად მჯერა“, „ეგ რომ იტყვის, წყალი არ გაუვა“, „მე მგონი, ეს ბიჭი ამინდის ღმერთთანაა პირდაპირ კავშირზე, თითქმის არასდროს ცდება“, „კობამ თქვა, ეს დღეები მზეს უნდა ველოდოთო და ჩემთვის ნანატრი წვულება დავგეგმე“, „ამინდი გაინტერესებს? ჰკითხე კობას, რას დაიქებ ტელეფონის აპლიკაციებში, რომელიც ხშირად ცდება?“ - არაერთხელ გაგვიგია ასეთი შეფასებები მეტეოროლოგ და ჟურნალისტ კობა ფარტენაძის მისამართით

მის მიერ ჩვეული მრავალფეროვნებით გამოცხადებული პროგნოზი ამინდის მიუხედავად, პოზიტიურ განწყობას იწვევს ადამიანებში. კობასაც მიაჩნია, რომ ამინდი ვერ უნდა ახდენდეს ზეგავლენას ჩვენს განწყობებზე, უნდა ვიცხოვროთ ბედნიერების შეგრძნებით, დავტკბეთ ყოველი დღით, ყოველდღე ვუყუროთ სამყაროს ისეთ საოცრებას, როგორიც მზის ამოსვლა და ჩასვლაა. ყველაზე მეტად ბავშვობის წლები ენატრება, ეზო, საიდანაც მისი პროფესიული განვითარება დაიწყო, რადგან, როგორც ამბობს, ამინდზე დაკვირვების საკუთარი ხერხები ჰქონდა. ენატრება და სულ თვალწინ უდგას კადრი - მისი ძმა, რომელიც ამჟამად გარდაცვლილია, როგორ ვარჯიშობს ეზოში. ბავშვობისდროინდელ სურვილს, მეტეოროლოგი გამხდარიყო, მხოლოდ დედა უჭერდა მხარს. სხვებს მიაჩნდათ, რომ აღნიშნულ საქმიანობაში არასდროს ექნებოდა მაღალი ხელფასი და სხვა პროფესია უნდა აერჩია.

- სტერეოტიპი იმ მხრივ დავამსხვრიე, რომ დღეს ვარ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მეტეოროლოგი, საკმაოდ კარგი ანაზღაურებით. როცა გიყვარს ის საქმე, რომელსაც აკეთებ, რომელშიც მთელ ძალას, ენერგიასა და სიყვარულს დებ, ამავდროულად ცდილობ მუდმივ განვითარებას და სწორ ნაბიჯებს დგამ ამ განვითარებისთვის, ეს ნაბიჯები აუცილებლად მოგიტანს საზოგადოების ნდობას და წარმატებას. დღეს ბედნიერი ვარ, რომ ყოველ წუთს ვგრძნობ ნაცნობი თუ უცნობი ადამიანების სიყვარულს, არაერთი მათგანი მწერს სოციალურ ქსელში და მიცხადებს ნდობას. ადამიანების 80 პროცენტს, ვინც მიყურებს, პირდაპირი კავშირი აქვს ჩემთან. ინტერნეტაპლიკაციების პროგრამები, უმეტეს შემთხვევაში, არასანდოა. შესაბამისად, ადამიანები როგორც აჭარიდან, ასევე, საქართველოს არაერთი რეგიონიდან, მნიშვნელოვანი ღონისძიებების

ღია სივრცეში ჩატარება როცა სურთ, მიკავშირდებიან და ჩემგან იგებენ ზუსტ პროგნოზს. არ მახსოვს შემთხვევა, ჩემი რეკომენდაციის მიხედვით დაგეგმილი დიდი წვეულება ამინდის გამო ვერ შემდგარიყოს. შესაბამისად, ეს ყველაფერი იწვევს ნდობას ჩემდამი, - აღნიშნა კობა ფარტენაძემ.

თვლის, რომ რამდენადაც გიყვარს საკუთარი თავი, იმდენად გიყვარს შენ ირგვლივ არსებული გარემო, ყოველი ცვლილება შენ გარშემო.

- ლამაზია მზის ჩასვლა, რადგან ის კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ დასასრულიც შეიძლება იყოს ძალიან მშვენიერი, მზის ამოსვლა კი იმედია, რომელიც ახალ ენერგიას აძლევს ადამიანებს. ცუდი ამინდიც, რაც ხანდახან თავს გვატყდება, ადამიანივით, ბუნების განტვირთვაა, რადგან მასაც სჭირდება მრისხანებისგან დაცლა. ყველა ამინდი მიყვარს ბათუმში, ყველას თავისი ემოცია ახლავს. თუმცა, შემხვედრიან ამინდზე მუდმივად მოწუწუნე ადამიანები, ეს პრეტენზიები გამოწვეულია იმ განუხორციელებელი მიზნებით, რომლებიც ადამიანებს აქვთ ცხოვრებაში. ბათუმში ყოველდღე შეიძლება მიიღო შენი წილი სითბო, სიყვარული და გასცე ამავდროულად. ამ ქალაქმა ნამდვილად შეინარჩუნა ადამიანების სიყვარული. ბათუმის ბულვარი, ბოტანიკური ბაღი - ბევრი ადგილია ბათუმში, სადაც შეგვიძლია წავიდეთ და სულიერად განვიტვირთოთ. და სულ რომ არაფერი, ზღვა გვაქვს, ენერგიის უშრეტი წყარო, რომლის ნაპირზე რამდენიმეწუთიანი ყოფნის შემდეგ, ყველანაირი დაღლილობა უკან რჩება. ძალების აღდგენის მხრივ ძალიან ძლიერი ქალაქია ბათუმი, - გვითხრა მან.

მიუხედავად რთული თემისა, ვთხოვეთ კობას, გაეხსენებინა გარდაცვლილი ერთადერთი ძმა და გაემხილა ჩვენთვის, რას ეტყოდა მას.

- მინდა ვუთხრა ჩემს ძმას, რომ ის ძალიან ბედნიერი ადამიანია. მიუხედავად იმისა, ვერ იცხოვრა დიდხანს, ძალიან ბევრ რამეში მეხმარებოდა და მეხმარება დღემდე. ჭილაძის არ იყოს, უმისოდ ჩემი ხელები ჰგვანან უნავოდ დარჩენილ ნიჩბებს. დედაჩემის მაგალითით შემიძლია ვთქვა, ამ სამყაროში არ არსებობს ადამიანი, რომელიც ისე განიცდიდეს მეორე ადამიანის დაკარგვას, როგორც დედა. დედაჩემს ვეტყვი, რომ იყოს მხნედ, მას დარჩა შვილი. მინდა დიდხანს იცოცხლოს და უხაროდეს ყოველი დღე, იმიტომ რომ ცხოვრება გრძელდება და ჩვენ შეგვიძლია ჩვენი სიყვარულის ობიექტი ჩვენს გულში მოვაქციოთ, სხვა ურთიერთკავშირი გვქონდეს მასთან. არ ვიცით, რა იქნება ხვალ, ამიტომ არ უნდა დავკარგოთ იმ უნიკალური შესაძლებლობების ხილვის შეგრძნება, რასაც სამყარო გვთავაზობს დღეს. ხვალისთვის არ უნდა გადავდოთ არაფერი, ახლა უნდა გავაკეთოთ ის, რაც გვინდა. უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, სამყარო, სიცოცხლე, თვით სიყვარული, თუ გვინდა, რომ ვიყოთ მუდმივად მშვენიერები და ბედნიერები, - გვითხრა კობა ფარტენაძემ.

რა თქმა უნდა, საქართველოში ერთ-ერთ წამყვან მეტეოროლოგს ვკითხეთ, როგორი ზამთარი გველოდება წინ. კობა ფარტენაძის ინფორმაციით, ზამთრის დასაწყისი, ანუ პირველი ნახევარი კარგი იქნება, ხოლო მეორე ნახევარი - უფრო მეტად ცივი, თოვლის მოსვლასაც ამ პერიოდში უნდა ველოდოთ.

მედიკამენტების გადაჭარბებული მოხმარება და თავის ტკივილი

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

მედიცინაში მრავალი შემთხვევაა აღწერილი, როცა თავის ტკივილის საწინააღმდეგო აბები უკუეფექტს იწვევს, ეს ხდება მათი ხშირი (კვირაში 2-3-ჯერ მაინც) მოხმარების ფონზე

მედიკამენტების ჭარბი მოხმარებით გამოწვეული თავის ტკივილის სიმპტომები მრავალფეროვანია. ამ დროს ტკივილი ყოველდღე იჩენს თავს, განსაკუთრებით დილით... ტკივილგამაყუჩებელი ცოტა ხნით ამსუბუქებს მდგომარეობას, მაგრამ მალე კვლავ შემაწუხებელი ხდება ტკივილი. ზოგჯერ მას ერთვის გულისრევის შეგრძნება, მოუსვენრობა, კონცენტრირების უნარის დარღვევა, მეხსიერების დაქვეითება, გაღიზიანება. მედიკამენტების უკუეფექტით გამოწვეული თავის ტკივილი შესაძლოა განუვითარდეს ნებისმიერ ადამიანს, რომელსაც აქვს დაძაბვის თავის ტკივილის, შაკიკის ან ტრანსფორმირებული შაკიკის სამედიცინო ისტორია და ბევრი ტკივილგამაყუჩებლის მიღება უწევს. აი, ამ დრომდე უნდა მივმართოთ ექიმს (თუ მაგ. 2-ჯერ და მეტად გიწევთ კვირაში თავის ტკივილის გამო წამლის მიღება). ნებისმიერი ტიპის თავის ტკივილის დროს ადამიანს დაუყოვნებლივ უნდა გაეწიოს სამედიცინო დახმარება, თუ: ტკივილი ძლიერი და უეცარია, თან ახლავს ცხელება, კისრის გაშეება, გამონაყარი, დაბნეულობა, გულყრა, სუნთქვის უკმარისობა, მხედველობის გაორება, სისუსტე, დაბუჟება, მეტყველების გაძნელება, თუ წინ უძღოდა თავის ტრავმა, ტკივილი ტკივილგამაყუჩებლის მიღების შემდეგაც კი იმატებს, დგომისას იწყება და დაწოლის შემდეგ მცირდება, ახლად აღმოცენებული და მუდმივია, განსაკუთრებით, 50 წელს გადაცილებულ პირებთან.

ბევრი ისეთი მედიკამენტი, რომელიც თავის ტკივილის სიმპტომებს ებრძვის, შესაძლოა, მედიკამენტების ჭარბი მოხმარებით გამოწვეული თავის ტკივილის მიზეზად ექცეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც უკვე აქვთ ქრონიკული პირველადი ან მეორეული თავის ტკივილი, თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია, რატომ ვითარდება უკუეფექტი. ვარაუდობენ, რომ ამაში ბრალი მიუძღვის გენეტიკურ განწყობას, ცენტრალურ მგრძნობელობას (ნერვული სისტემა მუდმივად იმყოფება მაღალი რეაქტიულობის მდგომარეობაში, რაც ამცირებს ტკივილის შეგრძნების ზღურბლს, შედეგად ტკივილი თანდათან მყარი ხდება და მისი გამომწვევი მიზეზის გაქრობის შემდეგაც იჩენს თავს), ქცევით ფაქტორებს...

ტკივილის მიზეზად მოიაზრებენ შემდეგი მედიკამენტების ჭარბად მოხმარებას:

1. გავრცელებული მარტივი ტკივილგამაყუჩებლები (ასპირინი და აცეტამინოფენი, განსაკუთრებით, თუ დღიურ დოზას გადააჭარბეთ. იბუპროფენი და ნატრიუმის ნაპროქსენი ამგვარ უკუეფექტს შედარებით ნაკლებად იწვევს);

2. ურეცეპტოდ გაიცემა კომბინაციური ტკივილგამაყუჩებლები (კოფეინის, ასპირინის, აცეტამინოფენის ან ბუტალბიტალის კომბინაციები), თუ თვეში 10 დღე მაინც იყენებთ;

3. შაკიკის სამკურნალო საშუალებები - ტრიპტანები (იმიტრექსი, ზომიგი...) - თვეში 10 დღე მაინც სვამენ. დიჰიდროერგოტამინს შედარებით ნაკლებად ახასიათებს;

4. ოპიატები - ოპიუმისგან ან სინთეზური ოპიუმის ნაერთებისგან მიღებული ტკივილგამაყუჩებლების თვეში 10 დღეზე ხშირად გამოყენება იწვევს უკუეფექტს;

5. ყავის, გაზიანი სასმელების, ტკივილგამაყუჩებლებისა და სხვა პროდუქტების შემადგენლობაში შემავალმა კოფეინმა შესაძლოა დააჩქაროს უკუეფექტი და ტკივილი გააძლიეროს. რისკი წარმოიშობა დღეში 200 მგ-ზე მეტი კოფეინის მიღებისას.

დიაგნოზი

წამლებით გადაჭარბებული გამოწვეული თავის ტკივილის დიაგნოზი კლინიკურ მონაცემებს ეფუძნება. მასზე მიანიშნებს ტკივილგამაყუჩებლების კვირაში 2-3 დღეზე ხშირად გამოყენება ისეთი პაციენტების მიერ, რომელთაც ქრ. თავის ტკივილი აწუხებთ. დამატებით ტარდება ლაბორატორიული და ტექნოლოგიური გამოკვლევები (MRT, CT), რითაც გამოირიცხება ან დასტურდება სხვა მეორეული მიზეზი. ამ დიაგნოზის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რაც უფრო იმატებს მედიკამენტების დოზა, მით უფრო ხშირდება თავის ტკივილი, წამლის მოხსნის საპასუხოდ კი იშვიათდება და მცირდება.

პრევენცია

რეკომენდებულია:

1. მისდიეთ ექიმის მიერ შედგენილ სქემას. თუ მედიკამენტების მიღება კვირაში 2-ჯერზე ხშირად გიწევთ, ექიმს აცნობეთ;

2. თავი არიდეთ ბუტალბიტალის ან ოპიოდების შემცველ ტკივილგამაყუჩებლებს;

3. ურეცეპტოდ გასაცემ ტკივილგამაყუჩებლებს თვეში 10 დღეზე ხშირად ნუ გამოიყენებთ;

4. შეზღუდეთ ტრიპტანების და კომბინირებული ანალგეტიკების გამოყენება (თვეში - მაქსიმუმ 10-ჯერ);

5. ერიდეთ თავის ტკივილის გამომწვევ გამღიზიანებლებს;

6. კარგად გამოიძინეთ. ყოველდღე ერთსა და იმავე დროს დაიძინეთ და გაიღვიძეთ;

7. იკვებეთ რეგულარულად, შეეცადეთ, ერთსა და იმავე დროს; სვით საკმარისი ოდენობის წყალი;

8. ივარჯიშეთ რეგულარულად, იარეთ ფეხით, ველოსიპედით, იცურავეთ...

9. შეამცირეთ სტრესული ფაქტორები, განეწყვეთ პოზიტიურად;

10. შეინარჩუნეთ ჯანსაღი წონა, რადგან სიმსუქნე ხელს უწყობს თავის ტკივილის წარმოშობას;

11. თავი აარიდეთ ჭარბ ალკოჰოლს, არ მოსწოოთ სიგარეტი...

მკურნალობა

მთავარია, შეწყვიტოთ ანალგეტიკების ჭარბი გამოყენება, როგორც ერთბაშად, ისე - თანდათანობით, დოზის შემცირებით. უკუეფექტის მოხსნას საშუალოდ, 6 თვე სჭირდება. მედიკამენტის მოხსნის პერიოდში იწყება ძირითადი თავის ტკივილის პრევენციული მკურნალობა. ჭარბად მოხმარებული წამლის შეწყვეტამ საწყის ეტაპზე თავის ტკივილი შესაძლოა დაამძიმოს და გამოიწვიოს მოხსნის სიმპტომები: გულისრევა, ღებინება, უძილობა, მოუსვენრობა, შეკრულობა, რომლებიც 2-10 დღე გრძელდება, ზოგჯერ კი რამდენიმე კვირასაც შეიძლება გასტანოს.

მკურნალობას აადვილებს ფარმაკოლოგიური, არაფარმაკოლოგიური თერაპია, ბიოლოგიური უკუკავშირი, მიზანმიმართული ფიზიოთერაპია ან მათი კომბინაცია.

არაფარმაკოლოგიური თერაპიაა, მაგალითად, როცა ადამიანი შეცვლის ცხოვრების წესს და მართავს თავის ტკივილს თავისი წესებით.

ბიოუკუკავშირი პაციენტს ასწავლის ორგანიზმის განსაზღვრული რეაქციების მართვას, კერძოდ, დიაფრაგმულ სუნთქვას, ტემპერატურის კონტროლს, გულისცემის სიხშირესა და კუნთების დაჭიმულობას, რათა უფრო მალე მოდუნდეს, რაც ტკივილთან გამკლავებაში დაეხმარება.

კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია კი გულისხმობს საუბრის თერაპიას, რომლის დროსაც პაციენტი თავის ტკივილთან გამკლავებას, ჯანსაღი ცხოვრების წესებს და თავის ტკივილის დღიურის წარმოებას სწავლობს.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და აჯარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოროვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 4/11/22, 20 ²⁰ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ბათუმში საქართველო-ავსტრიის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილე აღინიშნა

მანანა ქიქიშვილი 598 24 94 97

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო თეატრში საქართველოსა და ავსტრიას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი გალა კონცერტი გაიმართა

კონცერტს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, ავსტრიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში თომას მიულმანი ესწრებოდნენ.

კონცერტში ავსტრიელი იოჰანეს ფლაიშმანი (ვიოლინო), ასევე, მარი სატო (ფორტეპიანო) და ბათუმელი მუსიკოსები - მარინა ქიქავა, ნინო ნიშნიანიძე, ანრი კაკაბაძე, ბაჩი მიქელაძე მონაწილეობდნენ. ისინი მსმენელის წინაშე ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებებით წარსდგნენ.

საღამოს წარუძღვა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თამარ გუდავა. კონცერტის დაწყებამდე მაყურებელს სტუმარ-მასპინძლებმა სიტყვით მიმართეს.

დავით გაბაიძე:

- ავსტრიასა და საქართველოს შორის ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის შემდეგ უკვე 30 წელი გავიდა. არის სფეროები, სადაც განსაკუთრებით აქტუალურია ეს ურთიერთობები, მათ შორისაა ავსტრიის სააგენტოს განვითარების მეშვეობით განხორციელებული ღონისძიებები. ეს ურთიერთობები, ასევე, აქტუალურია პოლიტიკურ დონეზე, რაც გამოიხატება მაღალი დონის ორმხრივ ვიზიტებში როგორც საქართველოში, თბილისში, ისე - ავსტრიაში. მე წილად მხვდა ბედნიერება, რომ ამ ურთიერთობებში გარკვეული წვლილი შემეტანა. ცოტა ხნის წინ უმაღლესი საბჭოს დელეგაცია დაბრუნდა ზალცბურგიდან, სადაც გვქონდა შეხვედრები რეგიონთაშორისი ურთიერთობის დასაწყებად და, ამ ეტაპზე, წარმომადგენლობით ორგანოებს შორის ურთიერთობების დამყარებასთან დაკავშირებით. მარტში ველოდებით ჩემს კოლეგას ბათუმში და იმედი მაქვს, ის მჭიდრო ურთიერთობა, რაც სახელმწიფოების დონეზე არსებობს, თანდათან რეგიონებს შორის ურთიერთობებზეც გადმოინაცვლებს. დღეს ქართული დიპლომატიის დღეცაა, რომლის დაწესება უკავშირდება სულხან-საბა ორბელიანის სახელს. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც დასავლეთ ევროპასთან პოლიტიკური კავშირების დამყარებას შეეცადა, თუმცა მაშინ ევროპას, შესაძლოა, არ ეცალა ჩვენთვის. ახლა ვართ იმ ეტაპზე, რომ არათუ მათი ოცნება, არამედ ჩვენი ოცნება ასრულდეს და გავხდეთ ევროპული ოჯახის წევრი. ამაში დაგვეხმარებიან სწორედ ჩვენი ევროპელი მეგობრები, მათ შორისაა საქართველოს მეგობარი ავსტრია და მისი ელჩი საქართველოში. დღევანდელი კონცერტიც კულტურული თანამშრომლობის ერთ-ერთი ფურცელია და სასიხარულოა, რომ ჩვენ ამ დღის თანამონაწილენი ვართ. ამისთვის მადლობა ამ საღამოს ორგანიზატორებს, ავსტრიის საელჩოსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

მაია ხაჯიშვილი:

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ დარბაზში გაგვაერთიანა ორმა რამ, ერთია ის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რომელსაც ავსტრიის რესპუბლიკა ამდენი წლის განმავლობაში უცხადებს ჩვენს ქვეყანას, ჩვენი ქვეყნის მომავალს, მის განვითარებას და მეორე - კლასიკური მუსიკის საღამოს სიყვარული, სურვილი იმისა, რომ ყველა ერთად ვეზიაროთ ამ ულამაზეს საღამოს და ხელოვნებას. საღამო დაიგეგმა ბატონი ელჩის ინიციატივით და დიდი პატივია, რომ საიუბილეო თარიღი დღეს, დედაქალაქის შემდეგ, ბათუმშიც აღინიშნება. მადლობა მინდა გადავუხადო ავსტრიას, ავსტრიელ ხალხს მეგობრობისთვის, ქართველი ხალხის მხარდაჭერისთვის. ამ მეგობრობას ისტორიული საფუძვლებიც აქვს. განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით, ჩვენ არაერთ ერთობლივ პროექტს ვახორციელებთ როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. 2021 წელს, აქ მყოფ პირებთან ერთად, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში გავხსენით ავსტრიული კუთხე. „წერილები საქართველოდან“ - ასე ჰქვია ავსტრიელი მწერლისა და პაციფისტის, მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ქალის - ბერტა ფონ ზუტნერის წიგნს, რომლის ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან. მან მეუღლესთან ერთად რამდენიმე წელი გაატარა აქ. 2019 წელს ახალგაზრდულმა საინიციატივო ჯგუფმა ზუგდიდის მერიასა და ავსტრიის საელჩოსთან ერთად დააფუძნა მისი სახელობის პრემია, ხოლო 2020 წლის 21 აპრილს მიმოქცევაში გამოვიდა ბერტა ფონ ზუტნერის სახელობის მარკა. სწორედ ამ ქალბატონის წიგნის პრეზენტაცია მოეწყო აქ, რომელიც კარგად ასახავს, თუ როგორ შეიძლება ხალხებს შორის მეგობრობა. გრძელდება სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა. მჯერა, კულტურასა და განათლების დარგში ეს ურთიერთობები კვლავაც გაგრძელდება.

თომას მიულმანი:

- საქართველოსა და ავსტრიის ურთიერთობა 1992 წელს დაიწყო და ყველა მიმართულებით ვითარდება, იქნება ეს პოლიტიკა, კულტურა თუ ბიზნესი. დიდი მადლობა ყველას, ვისი მხარდაჭერითაც შედგა დღევანდელი საღამო, მადლობა მობრძანებულ სტუმრებს. საბედნიეროდ, კოვიდპანდემიამ დღეს ამ საღამოს გამართვის შესაძლებლობა მოგვცა, თუმცა ვერ წარმოვიდგენდით, რომ ეს ასეთ განსხვავებულ გარემოში მოხდებოდა. რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულმა უსამართლო ომმა დაარღვია ჩვენი ილუზია უსაფრთხოების შესახებ, რომელიც „რკინის ფარდის“ გაწევის შემდეგ შეიქმნა და რომელსაც ჩვენს კონტინენტზე უსაფრთხოება და სტაბილურობა უნდა უზრუნველეყო. ეს არის ომი ევროპის კონტინენტზე, მაგრამ მან გლობალური მასშტაბები შეიძინა. რუსეთი მზადაა, საკვები და ენერგორესურსები გამოიყენოს იარაღად, რათა მილიონობით ადამიანი შიმშილისა და სიღარიბის ზღვარზე ამყოფოს. სულ რამდენიმე დღის წინ ავსტრიის ეროვნული დღესასწაული აღვნიშნეთ. ავსტრია ნეიტრალური ქვეყანაა მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით და არა პოლიტიკური კუთხით. გაეროს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის ასეთი უხეში დარღვევის ფონზე, ჩვენ, რა თქმა უნდა, მკაფიოდ ვდგავართ უკრაინის გვერდით. საერთაშორისო საზოგადოებამ აგრესიას უპრეცედენტო სანქციებით უპასუხა - არ მივეცით საშუალება რუსეთს, შეცდომაში შევეყვანეთ. სანქციები მუშაობს. ამ ეტაპისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, გავერთიანდეთ, ერთმანეთის გვერდით დავდგეთ. ამავდროულად, არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთის სამხედრო ძალები საქართველოს ტერიტორიაზე დგას, დარწმუნებული იყავით ჩვენს მხარდაჭერაში საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. რა თქმა უნდა, 2022 წელმა პოზიტიური სიახლეც მოიტანა - ევროპულმა საბჭომ საქართველოს „ევროპული პერსპექტივა“ მიანიჭა, მინდა მივულოცო საქართველოს მოსახლეობას ეს მართლაც ჭეშმარიტად ისტორიული მოვლენა - ევროკავშირის კარი ღიაა და კარში შებიჯება, ალბათ, საქართველოზეა დამოკიდებული. ეს იქნება ხანგრძლივი პროცესი და ამას ეროვნული ძალისხმევა დასჭირდება. დარწმუნებული ვარ, თუ საქართველო გაერთიანდება, ყველა ძალა კი მიმართული იქნება ამ კუთხით, საქართველო ძალიან მალე შეძლებს ამ მიზნის მიღწევას. წელს, ისევე როგორც სხვა ბევრი პარტნიორი ქვეყანა, ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლისთავს აღვნიშნავთ. ავსტრია იმ ქვეყნებს შორისაა, რომელმაც 1992 წლის მაისში პირველმა გადადგა ამ ურთიერთობებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ამ მოვლენას მთელი წლის განმავლობაში ვზეიმობთ - ვიზიტები, საქმიანი კონტაქტები მიზნად ისახავს კოვიდპანდემიისა და უკრაინის ომით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური შედეგების დაძლევას, დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლისთავთან დაკავშირებით, არაერთი კულტურული ღონისძიება გაიმართა - თბილისში გაიხსნა საელჩოს ახალი შენობა. მთელი წლის განმავლობაში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებას ამ გალა კონცერტით ვამთავრებთ. მოხარული და ბედნიერი ვარ, რომ დღეს ბათუმში ვიმყოფები ავსტრიელ მუსიკოსებთან ერთად.

კონცერტის დაწყებამდე ორგანიზატორებმა დარბაზს საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამართული სხვადასხვა ღონისძიების ვიდეორგოლი შესთავაზეს.